



შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი  
ხარისხის მართვის სისტემის დოკუმენტაცია

## სტუდენტური თვითმმართველობის დებულება

დამტკიცებულია საერთო კრების მიერ 29/05/2013წ. - გადაწყვეტილება №1 (დანართი №1)

### დამტკიცებულია

ქვემოთ მოცემული ხელმოწერები ადასტურებს, რომ აღნიშნული ინსტრუქცია წაკითხული და მიღებულია ხელმოწერის ავტორები ადასტურებენ, რომ ისინი ნამდვილად ფლობენ წინამდებარე დოკუმენტში არსებულ ინფორმაციას და უზრუნველყოფენ მასში ასახული პირობების განხორციელებას.

მოამზადა:	აღმასრულებელი პალატა	
შეამოწმა:	ხარისხის მართვის კომისია	
დაამტკიცა:	საერთო კრება	

დოკუმენტის ნომერი: IBSU.R8G

შეუმოწმებელი ვერსია

შემოწმებული ვერსია

რევიზია:

თარიღი: 29/05/2013

შსსუ-ს კუთვნილი დოკუმენტაცია.

წინამდებარე დოკუმენტით სარგებლობამდე, დარწმუნდით, რომ დოკუმენტაციის ჩამონათვალში აღნიშნულ დოკუმენტს აქვს საბოლოო რევიზიის ნომერი.

ცვლილებების მოთხოვნის შემთხვევაში ხარისხის მმართველის კომისიას წარუდგინეთ დოკუმენტის ცვლილებების მოთხოვნის ფორმა.

**შინაარსი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....3

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები.....3

მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები .....4

მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება .....5

მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი.....6

მუხლი 6. თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილებები.....7

მუხლი 8. თვითმმართველობის სტრუქტურა.....8

მუხლი 9. თვითმმართველობის საერთო კრება .....8

მუხლი 10. საერთო კრების უფლებამოსილებები.....9

მუხლი 11. თვითმმართველობის პრეზიდენტი .....9

მუხლი 12. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება .....10

მუხლი 12. თვითმმართველობის აღმასრულებელი პალატა.....11

მუხლი 13. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი .....12

მუხლი 14. დეპარტამენტის ფუნქციები .....13

მუხლი 15. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები .....13

მუხლი 16. ბიუჯეტი.....14

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები .....15

მუხლი 18. ძალაში შესვლა .....15

## **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

- 1.1. შპს - „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ სტუდენტური თვითმმართველობა (შემდგომში - „სტუდენტური თვითმმართველობა“) არის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში „შსუ“) სტუდენტების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით არჩეული, უნივერსიტეტის შემადგენლობაში შექმნილი სტუდენტთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს მის უფლებამოსილებას უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ.
- 1.2. სტუდენტური თვითმმართველობა არ წარმოადგენს იურიდიულ პირს. სტუდენტური თვითმმართველობა არის აპოლიტიკური კავშირი, რომელსაც ეკრძალება სამეწარმეო საქმიანობაზე გადასვლა.
- 1.3. სტუდენტური თვითმმართველობა არის უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანო. ამასთან, მისი მუშაობა უნდა შესაბამისობაში იყოს უნივერსიტეტის დებულებებთან.
- 1.4. სტუდენტური თვითმმართველობის სამართლებრივი სტატუსი განისაზღვრება საქართველოს კანონით “უმაღლესი განათლების შესახებ”, უნივერსიტეტის დებულებებითა და წინამდებარე დებულებით. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობა ხორციელდება ამ დებულების შესაბამისად.
- 1.4 სტუდენტური თვითმმართველობის და მისი ორგანოების არჩევნების წესი და პირობები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.
- 1.5 სტუდენტური თვითმმართველობა მოქმედებს უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა მხარდაჭერის განყოფილებასთან თანამშრომლობით.
- 1.6 სტუდენტური თვითმმართველობა ვერ გამოაქვეყნებს, გაავრცელებს ან გამოაკრავს განცხადებებს საუნივერსიტეტო კამპუსში ან მის გარეთ, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ქმედება განხილული იქნება, როგორც დისციპლინის დარღვევა.
- 1.7 სტუდენტური თვითმმართველობის მისამართია ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ,2. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი.

## **მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები**

დებულებაში გამოყენებული ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 2.1 *სტუდენტი* – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის - IBSU.R3G შესაბამისად ჩაირიცხა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის გასავლელად;
- 2.2 *სტუდენტური თვითმმართველობა* – უნივერსიტეტის სტუდენტების წარმომადგენლობითი ორგანო;
- 2.3 *უნივერსიტეტი* – შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
- 2.4 *უნივერსიტეტის ადმინისტრაცია* - უნივერსიტეტის ყველა რგოლის მმართველობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას, ადმინისტრირებას და სასწავლო პროცესს;
- 2.5 *ფაკულტეტი* - უნივერსიტეტის ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მიანიჭებას;
- 2.6 *ფაკულტეტის საბჭო* - უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტზე არსებული წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება ამ ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლისაგან;
- 2.7 *საერთო კრება* - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტიდან არჩეული დელეგატებიდან;
- 2.8 *პრეზიდენტი* - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი თანამდებობის პირი;
- 2.9 *ადმასრულებელი პალატა* - სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლესი ადმასრულებელი ორგანო;
- 2.10 *დეპარტამენტი* - კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის ადმასრულებელი ორგანო.

**მუხლი 3. სტუდენტური თვითმმართველობის მიზნები**

სტუდენტური თვითმმართველობის მიზნებია:

- 3.1 თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაიცვას და წარმოადგინოს სტუდენტების ინტერესები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და მართვის ორგანოებთან ურთიერთობაში;
- 3.2 თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყოს სტუდენტებს უფლებებისა და თავისუფლებების, მათი კანონიერი ინტერესების დაცვაში, განმტკიცებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში;

- 3.3 შეიმუშავოს წინადადებები უნივერსიტეტში არსებული პრობლემების შესახებ და წარუდგინოს შესაბამის ორგანოს წერილობითი ფორმით;
- 3.4 დახმარება გაუწიოს სტუდენტებს სწავლის პერიოდში, პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში და კონკურენტულ პროფესიულად ჩამოყალიბებაში;
- 3.5 შექმნას ოპტიმალური პირობები სტუდენტთა სოციალურ-კულტურული, სპორტული დასვენებისა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, გაამრავალფეროვნოს სტუდენტური ცხოვრება;
- 3.6 ხელი შეუწყოს სხვადასხვა ეროვნების სტუდენტების დაახლოებას. ხელი შეუწყოს მათი კულტურების წარმოჩენას უნივერსიტეტის ფარგლებში;
- 3.7 ურთიერთობები დაამყაროს და გააღრმავოს სხვა უნივერსიტეტების თვითმმართველობებთან და სხვა სტუდენტურ ორგანიზაციებთან;
- 3.8 საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირებულობა ყველა საჭირო ინფორმაციით.

**მუხლი 4. სტუდენტური თვითმმართველობის უფლებამოსილება**

სტუდენტური თვითმმართველობა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:

- 4.1 ხელს უწყობს სტუდენტთა უფლებების დაცვას;
- 4.2 შეიმუშავებს წინადადებებს უნივერსიტეტში არსებული პრობლემების შესახებ, რომელთაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
- 4.3 მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოს (აკადემიური საბჭოს) საქმიანობაში;
- 4.4 პერიოდულად ახდენს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასებას უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით, რომლის შედეგებსაც წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს;
- 4.5 სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად, მოაწიოს შესაბამისი შეხვედრები, დებატები, დისკუსიები, ტრენინგები, ინტელექტუალური თამაშები, საგანმანათლებლო, ლიტერატურული, სპორტული, კულტურული, გასართობი, სამეცნიერო, საქველმოქმედო და კანონით ნებადართული სხვა სახის ღონისძიებები;
- 4.6 სტუდენტური თვითმმართველობა უფლებამოსილია ითანამშრომლოს სხვა საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;

- 4.7 სტუდენტური თვითმმართველობა ამ დებულებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

### **მუხლი 5. სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი**

- 5.1 სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი (შემდგომში „დელეგატი“) არის თვითმმართველობის წევრი, რომელიც წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით არჩეულ იქნა თვითმმართველობის მმართველის ორგანოებში.
- 5.2 სტუდენტში შესაძლებელია არჩეულ იქნეს დელეგატად მხოლო ერთხელ, 1 წლის ვადით.
- 5.3 დელეგატი არ შეიძლება იმავდროულად იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი.
- 5.4 დელეგატის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალარჩეული თვითმმართველობის დელეგატების პირველ შეკრებისთანავე.
- 5.5 დელეგატის უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის საფუძველია:
- ა) პირადი განცხადება;
  - ბ) უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშვნა;
  - გ) უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;
  - დ) წინამდებარე დებულების, ეთიკის კოდექსის - IBSU.R2G და და სტუდენტთა დისციპლინური პასუხიმგებლობის მარეგულირებელი წესის - IBSU.R7G უხეში დარღვევა;
  - ე) არასაკმაყოფილო მიზეზით, თვითმმართველობის საქმიანობაში ზედიზედ 2 თვის განმავლობაში მონაწილეობის მიუღებლობა;
  - ვ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზოუკვლოდ ან გარდაცვლილად გამოცხადება;
  - ზ) გარდაცვალება.
- 5.6 დელეგატის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, მის ადგილს იკავს შესაბამისი ფაკულტეტიდან თვითმმართველობის დელეგატობის ის კანდიდატი, რომელმაც შესაბამის ფაკულტეტზე დააგროვა სხვებთან შედარებით ხმათა მეტი, მაგრამ თვითმმართველობის დელეგატად არჩევისათვის არასაკმარისი ხმათა რაოდენობა.
- 5.7 თვითმმართველობის დელეგატად შესაძლებელია არჩეულ იქნას სტუდენტური თვითმმართველობის წევრი, რომელიც არის ქმედუუნარიანი, არ იკავებს უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ თანამდებობას და არ არის ნასამართლევი, მიიღებს მისი ფაკულტეტის დეკანის შესაბამის

რეკომენდაციას და მისი საშუალო აკადემიური მოსწრება არის 80 ქულაზე მეტი.

5.8 თვითმმართველობის დელეგატი ვერ იქნება:

ა) საბაკალავრო პროგრამის პირველკურსელი სტუდენტი;

ბ) სტუდენტი, რომელსაც მიღებული აქვს დისციპლინარული სასჯელი.

## **მუხლი 6. თვითმმართველობის დელეგატის უფლებამოსილებები**

თვითმმართველობის დელეგატი უფლებამოსილია:

6.1 წესდებით განსაზღვრული მიზნების განსახორციელებლად წინადადებებით მიმართოს თვითმმართველობის მართვის ორგანოებს;

6.2 აირჩიოს და იყოს არჩეული თვითმმართველობის მართვის ორგანოებში;

6.3 მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ორგანიზირებულ ღონისძიებებში ან თავად შეიმუშაოს ღონისძიების განხორციელების პროექტი და წარუდგინოს თვითმმართველობის მართვის ორგანოებს განსახილველად;

6.4 მიიღოს ყოველგვარი ინფორმაცია სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატებისაგან მათი საქმიანობის შესახებ;

6.5 განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი სხვა უფლებამოსილებები.

## **მუხლი 7. თვითმმართველობის დელეგატის ვალდებულებები**

თვითმმართველობის დელეგატი ვალდებულია:

7.1 შეასრულოს სტუდენტური თვითმმართველობის დებულებით მასზე დაკისრებული მოვალეობები;

7.2 დაიცვას სტუდენტური თვითმმართველობის სახელი, ავტორიტეტი და ქონება;

7.3 ხელი შეუწყოს სტუდენტსა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოებს შორის ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას;

7.4 მიიღოს მონაწილეობა სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში;

7.5 მონაწილეობა მიიღოს სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების მუშაობაში;

7.6 დაესწროს სტუდენტური თვითმმართველობის მმართვეის ორგანოების შეკრებებს, უნივერსიტეტის ფაკულტეტისა და აკადემიურ საბჭოს წინამდებარე დებულების შესაბამისად.

### **მუხლი 8. თვითმმართველობის სტრუქტურა**

8.1 თვითმმართველობის მართვის ორგანოებია:

- ა) თვითმმართველობის საერთო კრება;
- ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- გ) თვითმმართველობის აღმასრულებელი პალატა;
- დ) თვითმმართველობის დეპარტამენტები.

8.2 სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების უფლებამოსილება სრულდება უნივერსიტეტში ახალი სტუდენტური თვითმმართველობის მართვის ორგანოების არჩევის მომენტიდან.

### **მუხლი 9. თვითმმართველობის საერთო კრება**

9.1 თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება წარმოადგენს სტუდენტური თვითმმართველობის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც შედგება სტუდენტურ თვითმმართველობაში არჩეული ყველა დელეგატისაგან.

9.2 თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება ტარდება სასწავლო სემესტრში ერთხელ. თვითმმართველობის საქმიანობის საჭიროებიდან გამომდინარე საერთო კრება შესაძლებელია ჩატარდეს უფრო ხშირადაც.

9.3 თვითმმართველობის მორიგი საერთო კრების მოწვევის უფლება აქვს თვითმმართველობის პრეზიდენტს.

9.4 რიგგარეშე თვითმმართველობის საერთო კრება შესაძლებელია მოიწვიოს:

- ა) თვითმმართველობის პრეზიდენტმა საკუთარი ინიციატივით;
- ბ) თვითმმართველობის პრეზიდენტმა თვითმმართველობის დელეგატთა არანაკლებ 1/4-ის მოთხოვნის საფუძველზე;
- გ) აღმასრულებელმა პალატამ თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურის მიმდინარეობისას.

9.5 თვითმმართველობის საერთო კრების ჩატარების თარიღისა და შესაბამისი დღის წესრიგის შესახებ თვითმმართველობის დელეგატებს ეცნობება კრების ჩატარებამდე 7 დღით ადრე.

9.6 თვითმმართველობის დელეგატთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დელეგატთა სიითი შემადგენლობის 2/3.

9.7 თვითმმართველობის საერთო კრებას ხელმძღვანელობს თვითმმართველობის პრეზიდენტი, ხოლო მისი არყოფნისას თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი.



- 9.8 თვითმმართველობის საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კრების თავმჯდომარის ხმა.

#### **მუხლი 10. საერთო კრების უფლებამოსილებები**

თვითმმართველობის საერთო კრება უფლებამოსილია:

- 10.1 თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით დაამტკიცოს ვიცე პრეზიდენტი;
- 10.2 თვითმმართველობის პრეზიდენტის წარდგინებით დაამტკიცოს აღმასრულებელი პალატის დელეგატები;
- 10.3 გადაწყვიტოს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის თანამდებობიდან იმპიჩმენტის წესით გათავისუფლების საკითხი;
- 10.4 დაამტკიცოს თვითმმართველობის წლის სამოქმედო გეგმა;
- 10.5 უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა მხარდაჭერის განყოფილებასთან შეთანხმების შემდეგ, შეიტანოს ცვლილებები/დამატებები თვითმმართველობის დებულებაში;
- 10.6 თავის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მიიღოს დადგენილებები, რომელსაც ხელს აწერს თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- 10.7 აღმასრულებელი პალატის წარდგინებით მიიღოს გადაწყვეტილება ახალი დეპარტამენტის შექმნის, გაუქმების და/ან დეპარტამენტების შეერთების შესახებ;
- 10.8 არჩევნების ჩატარების შემდეგ დაამტკიცოს ფაკულტეტზე არჩეული დელეგატის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურები მიმართულებების მიხედვით (ერთი კანდიდატი თითო მიმართულებიდან).
- 10.9 განხორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებასა და მოქმედ კანონმდებლობას.

#### **მუხლი 11. თვითმმართველობის პრეზიდენტი**

- 11.1 თვითმმართველობის პრეზიდენტი არის უმაღლესი თანამდებობის პირი რომელიც ხელმძღვანელობს აღმასრულებელ პალატას, თვითმმართველობის საერთო კრებას და წარმოადგენს თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობაში.
- 11.2 თვითმმართველობის პრეზიდენტი ამავედროულად არის თვითმმართველობის დელეგატი.
- 11.3 სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას უნივერსიტეტის ნებისმიერი კურსის სტუდენტი, რომელიც არის ქმედუნარიანი, არ იკავებს უნივერსიტეტში ადმინისტრაციულ

თანამდებობას და არ არის ნასამართლევი, არის საბაკალავრო პროგრამის მეორე ან მესამე კურსის სტუდენტი, მიიღებს მისი ფაკულტეტის დეკანის შესაბამის რეკომენდაციას და მისი საშუალო აკადემიური მოსწრება არის 80 ქულაზე მეტი.

- 11.4 თვითმმართველობის პრეზიდენტი აირჩევა უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ 1 წლის ვადით, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული არჩევნების წესით.
- 11.5 სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს თვითმმართველობის წევრთა სრული შემადგენლობის 1/5-ს, ასევე სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს პრეზიდენტობის კანდიდატის მხარდამჭერ მინიმუმ 100 სტუდენტის ხელმოწერას.
- 11.6 იმ შემთხვევაში, თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მოაგროვა ხმათა საკმარისი რაოდენობა, 5 დღის ვადაში ინიშნება მეორე ტური იმ პირველი ორი კანდიდატისთვის, რომელმაც ყველაზე მეტი ხმათა რაოდენობა დააგროვა. იმ შემთხვევაში, თუ მეორე ტურშიც ვერც ერთმა კანდიდატმა დააგროვა საკმარისი ხმათა რაოდენობა, 10 დღის ვადაში ინიშნება ხელახალი არჩევნები.

## **მუხლი 12. თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება**

- 12.1 თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი პრეზიდენტის არჩევისას;
- 12.2 თვითმმართველობის დელეგატის დადგენილი უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საფუძვლების გარდა, თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის დამატებითი საფუძველია იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენება.
- 12.3 თვითმმართველობის პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, პრეზიდენტის უფლებამოსილებებს ახორციელებს თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადით.
- 12.4 წინამდებარე დებულების, ეთიკის კოდექსის - IBSU.R2G, სტუდენტთა დისციპლინური პასუხიმგებლობის მარეგულირებელი წესის - IBSU.R7G, საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში, თვითმმართველობის დელეგატთა არანაკლებ 1/3-ს შეუძლია საერთო კრებაზე დააყენოს თვითმმართველობის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხი. თვითმმართველობა პრეზიდენტი

გადაყენებულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს თვითმმართველობის საერთო კრების სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

12.5 თვითმმართველობის პრეზიდენტი:

- ა) ხელმძღვანელობს აღმასრულებელ პალატას;
- ბ) კოორდინაციას უწევს თვითმმართველობის ორგანოთა მუშაობას;
- გ) იწვევს და თავმჯდომარეობს თვითმმართველობის საერთო კრებას;
- დ) თვითმმართველობი საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს აღმასრულებელი პალატის დელეგატთა კანდიდატურებს;
- ე) წარმოადგენს სტუდენტურ თვითმმართველობას მესამე პირებთან ურთიერთობისას;
- ვ) ხელს აწერს თვითმმართველობის საერთო კრების მიერ მიღებულ დადგენილებებს;
- ზ) თვითმმართველობის დელეგატებიდან თვითმმართველობის საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურას (რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს 11 მუხლის 11.3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს);
- თ) თვითმმართველობის დელეგატებიდან აკომპლექტებს დეპარტამენტის შემადგენლობას, ნიშნავს და ათავისუფლებს დეპარტამენტის თავმჯდომარეებს;
- ი) სტუდენტური თვითმმართველობის სახელით ხელს აწერს ოფიციალურ დოკუმენტებს;
- კ) თავის კომპეტენციასთან მიკუთვნებულ საკითხებზე გამოსცემს განკარგულებებს;
- ლ) მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოების სხდომებში;
- მ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას და მოქმედ კანონმდებლობას.

### **მუხლი 13. თვითმმართველობის აღმასრულებელი პალატა**

13.1 თვითმმართველობის აღმასრულებელი პალატა არის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომელშიც შედის თვითმმართველობის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, დეპარტამენტის ხელმძღვანელები.

13.2 აღმასრულებელი პალატა იკრიბება თვეში ერთხელ. რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლება აქვს თვითმმართველობის პრეზიდენტს საკუთარი ინიციატივით.

- 13.3 აღმასრულებელი პალატა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3.
- 13.4 გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია თვითმმართველობის პრეზიდენტის ხმა.
- 13.5 აღმასრულებელი პალატა:
- ა) განსაზღვრავს სტუდენტური თვითმმართველობის ძირითად პრიორიტეტებსა და ამოცანებს წლის განმავლობაში, წარმართვას თვითმმართველობის საქმიანობის ზოგად პოლიტიკას;
  - ბ) განსაზღვრავს დეპარტამენტების საქმიანობის ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, წარუდგენს წინადადებებს დეპარტამენტებს მათი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე;
  - გ) განიხილავს და ამტკიცებს თვითმმართველობის საქმიანობისათვის აუცილებელ პროგრამებსა და პროექტები, რომელსაც მას წარუდგენენ თვითმმართველობის წევრები;
  - დ) შეიმუშავებს თვითმმართველობის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს და შესათანხმებლად წარუდგენს უნივერსიტეტის მმართველ საბჭოს;
  - ე) ბიუჯეტის პროექტს/ბიუჯეტს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა მხარდაჭერის განყოფილებას.
  - ვ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც არ ეწინააღმდეგება წინამდებარე დებულებას და მოქმედ კანონმდებლობას.

#### **მუხლი 14. სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი**

- 14.1 სტუდენტური თვითმმართველობის დეპარტამენტი არის კონკრეტულ სფეროში დასახული მიზნების აღსრულებისათვის შექმნილი სტუდენტური თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო.
- 14.2 დეპარტამენტი შედგება დეპარტამენტის თავმჯდომარისა და თვითმმართველობის დელეგატთა 2 წევრისაგან.
- 14.3 დეპარტამენტის თავმჯდომარესა და მისი ერთ წევრს ნიშნავს და ათავისუფლებს თვითმმართველობის პრეზიდენტი (გათავისუფლების საკითხი შეთანხმებული უნდა იყოს საერთო კრებასთან), ხოლო 1 წევრს კი დელეგატთა შემადგენლობიდან ირჩევს და ათავისუფლებს თვითმმართველობის საერთო კრება.

- 14.4 დეპარტამენტი გადაწყვეტილებას იღებს დეპარტამენტის შეკრებებზე. კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა.
- 14.5 დეპარტამენტი ანგარიშვალდებულია აღმასრულებელი პალატის წინაშე.
- 14.6 სტუდენტურ თვითმმართველობაში შექმნილია შემდეგი დეპარტამენტები:
- ა) განათლება და მეცნიერება;
  - ბ) კულტურა, სპორტი, დასვენება;
  - გ) სტუდენტთა უფლებების დაცვა;
  - დ) საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტი.
- 14.7 თვითმმართველობის პრეზიდენტი უფლებამოსილია წამოაყენოს ინიციატივა ახალი დეპარტამენტის შექმნის, გაუქმების და/ან დეპარტამენტების შეერთების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილებას აღნიშნულის თაობაზე იღებს თვითმმართველობის საერთო კრება.

**მუხლი 15. დეპარტამენტის ფუნქციები**

- 15.1 განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტი გეგმავს და აწყოფს დისკუსიებს, დებატებს და სხვა სახის ინტელექტუალურ თამაშებს. იგი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო-სამეცნიერო ღონისძიებებზე.
- 15.2 კულტურის, სპორტისა და დასვენების დეპარტამენტი პასუხისმგებელია კულტურულ და გასართობ ღონისძიებებზე. იგი აწყოფს ექსკურსიებსა და პიკნიკებს სტუდენტებისათვის, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა სახეობის სპორტულ ღონისძიებებსა და ტურნირებს.
- 15.3 სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტების ინტერესების დაცვას. ახორციელებს აკადემიური პერსონალის პერიოდულ შემოწმებას წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით.
- 15.4 საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტს აქვს სისტემატიური ურთიერთობა სხვა უნივერსიტეტების სტუდენტურ თვითმმართველობებთან და სხვა სტუდენტურ, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

**მუხლი 16. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები**

- 16.1 მორიგი სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ტარდება წელიწადში ერთხელ, შემოდგომის სემესტრში, ნოემბერი-დეკემბრის პერიოდში.

- 16.2 არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის გზით უნივერსიტეტის ტერიტორიაზე.
- 16.3 არჩევნების წესით ხდება თვითმმართველობის დელეგატების არჩევა თვითმმართველობის მმართველის ორგანოებში.
- 16.4 სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს უნივერსიტეტის ყველა სტუდენტს.
- 16.5 არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს არანაკლებ უნივერსიტეტის სტუდენტების 1/3.
- 16.6 არჩევნების ორგანიზებისათვის უნივერსიტეტი იყოფა საარჩევნო უბნებად ფაკულტეტების მიხედვით.
- 16.7 ფაკულტეტების სტუდენტები ირჩევენ თვითმმართველობის 1 დელეგატს, თითო ფაკულტეტიდან.
- 16.8 ფაკულტეტზე არჩეული დელეგატი ასახელებს თითო კანდიდატურას მისი ფაკულტეტის თითო მიმართულებიდან, რომელსაც ამტკიცებს თვითმმართველობის საერთო კრება. დაახელებული კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს თვითმმართველობის დელეგატისათვის დადგენილ მოთხოვნებს და საერთაო კრების მიერ დამტკიცების შემდეგ ხდება თვითმმართველობის დელეგატი.
- 16.9 ფაკულტეტის საბჭოში ფაკულტეტის წარმომადგენლის არჩევა განხორციელდება ფაკულტეტის დელეგატებს შორის, ამავე დელეგატების მიერ.
- 16.10 თვითმმართველობის პრეზიდენტის არჩევა ხდება უნივერსიტეტის ყველა სტუდენტის მიერ.
- 16.11 არჩევნებთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ საკითხებს აწესრიგებს უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა მხარდაჭერის განყოფილება.

**მუხლი 17. ბიუჯეტი**

- 17.1 სტუდენტური თვითმმართველობა ბიუჯეტირების მიმართულებით უფლებამოსილია ითანამშრომლოს საუნივერსიტეტო, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აგრეთვე აპოლიტიკურ გაერთიანებებთან, სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.
- 17.2 ბიუჯეტის შესაბამის დამფინანსებელთან წარდგენამდე, სტუდენტური თვითმმართველობა ვალდებულია შემუშავებული და დასაბუთებული პროექტი და ფინანსური გეგმა განსახილველად წარუდგინოს უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა მხარდაჭერის

განყოფილებას. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც პროექტის დამფინანსებლად გვევლინება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ასეთ შემთხვევაში პროექტი და ფინანსური გეგმა განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა მხარდაჭერის განყოფილებას.

17.3 უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებელი დამფინანსებლის შემთხვევაში, უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა მხარდაჭერის განყოფილების მიერ მიღებული დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ, უნივერსიტეტის თვითმმართველობას ენიჭება უფლება პროექტი წარუდგინოს შესაბამის დამფინანსებლის უფლებამოსილ ორგანოს, ხოლო დაფინანსების მოპოვებისა და თანხის განკარგვის შემდეგ, შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია წარუდგინოს უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა მხარდაჭერის განყოფილებას წინასწარი ფინანსური გეგმის სქემასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით (მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტაცია უნდა გადაეცეს ასევე დამფინანსებელი ორგანიზაციის შესაბამის ორგანოს).

17.4 უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა მხარდაჭერის განყოფილებას ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის მმართველ საბჭოსთან შეთანხმების საფუძველზე.

### **მუხლი 18. დასკვნითი დებულებები**

18.1 საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის დებულებებით.

18.2 ნებისმიერი სახის ცვლილება ან დამატება წინამდებარე დოკუმენტში შედის თვითმმართველობის საერთო კრების გადაწყვეტილებით.

### **მუხლი 19. ძალაში შესვლა**

19.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე და ამოქმედდება 2013/2014 აკადემიური წლიდან.

*უნივერსიტეტის წესების არცოდნა არავის არ იცავს. ყველა ვალდებულია იცნობდეს შხსუ-ს მიერ შემუშავებულ წესებსა და რეგულაციებს.*

---

*შხსუ ყველას თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს. საზოგადოების ყველა დეღეგატს თანასწორი უფლება აქვს მიიღოს უკეთესი განათლება, განურჩევლად სქესის, რასის, ეროვნების, გვარის, რწმენის, საზოგადოებრივი სტატუსის, ფიზიკური, მენტალური, ემოციური სხვაობისა და სწავლის განსხვავებული უნარისა.*

---

**გამოსცა:**

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი**  
დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13 კმ., 2, თბილისი, 0131  
საქართველოს რესპუბლიკა  
[www.ibsu.edu.ge](http://www.ibsu.edu.ge)  
[contact@ibsu.edu.ge](mailto:contact@ibsu.edu.ge)

